29 ნოემბრის 2022 წლის შუალედური გადაწყვეტილების №6226083-ის პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის №2005861 გადაწყვეტილებით შეთანხმებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები ეხებოდა ამავე შენობაში არსებულ სხვა ფართებს საკადასტრო კოდებით 01.17.13.050.053.01.04.004 და 01.17.13.050.053.01.04.003. ხოლო ამჟამად ატვირთული განაცხადი AR1927961 ეხება ფართს საკადასტრო კოდით 01.17.13.050.053.01.04.002.

ასევე გაცნობებთ, რომ ამ საცხოვრებელ ობიექტზე არ არის შემდგარი ამხანაგობა, ხოლო ვინაიდან საცხოვრებელი ბინების უმეტესი ნაწილი არის გაქირავებული ან დაკეტილი, ბინების მესაკუთრეებთან კომუნიკაცია ვერ ხერხდება. შესაბამისად, ვერ ხერხდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის მომზადება და სათანადო წესით დამოწმება.